

1) შესრულების კონდიცია და მისი გამომრიცხველი გარემოებები

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, განასხვავებენ უსაფუძვლო გამდიდრების ორ ჯგუფს: შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიციებს.

დღესდღეობით შესრულების კონდიცია გულისხმობს მიზანმიმართული, თუმცა წარუმატებელი გადაცემული ქონებრივი ღირებულების დაბრუნებას საწყის მდგომარეობაში. შესაბამისად, შესრულების კონდიციის ფუნქცია ისეთივეა, როგორიცაა ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელი ნორმების, რომელთაგანაც ის, ძირითადად, განსხვავდება თავისი შემსუბუქებული პასუხისმგებლობის მასშტაბით. უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლისას ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი (ხელშეკრულება) ძალაში რჩება და საუბარი ეხება მხოლოდ მისი შესრულების დარღვევას. ხელშეკრულებიდან გასვლა არ იწვევს პირვანდელი ხელშეკრულების გაბათილებას. რაც შეეხება კონდიციურ ვალდებულებას, აქ ვალდებულების სამართლებრივი საფუძვლის ბათილობა განაპირობებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. ამასთან, პირველ შემთხვევაში მოვალეს შეიძლება დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების დროს, როგორც წესი, პასუხისმგებლობა შეიძლება შემოიფარგლოს მხარეთათვის მიღებულის უკან დაბრუნებით.

შესრულების კონდიციის წინაპირობებია: ა) რაიმეს შეძენა; ბ) ვითომ კრედიტორის შესრულების შედეგად გამდიდრებულის მიერ ქონებრივი სარგებლის მიღება; გ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენა.

„რაიმეს გადაცემა“ უკავშირდება ნებისმიერი სარგებლის მომტან სამართლებრივ სიკეთეს, კერძოდ, სანივთო ან პირადი უფლების შეძენას: საკუთრების, გირავნობის უფლება, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება, ასევე, რაიმე უფლების მომავალში მიღების უფლება, მფლობელობა, ვალებისგან განთავისუფლება, ვალის შემცირება (მაგალითად, კრედიტორის უარი თავის მოთხოვნაზე). ამასთან, ქონებრივი შეღავათია ქონების დაზოგვაც. შესრულებაში მოიაზრება „სხვა პირის ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული გაზრდა.“ აქ არსისმიერია, უპირველეს ყოვლისა, შესრულების ცნების ფუნქციის განსაზღვრა.

„სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ ცნება ადგენს უსაფუძვლო გამდიდრების შენარჩუნების შესაძლებლობას. შესრულების კონდიციის დროს არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, როდესაც ქონების (გაცნობიერებული) გაზრდით დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული. რამდენადაც მიზანი განსაზღვრულია, სამართლებრივი საფუძვლის დაკარგვის საკითხი დამოკიდებული ხდება შესრულების კონდიციის სახეებზე.

სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით, შესრულების კონდიციის დროს სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს შემდეგ შემთხვევებში,

სახელდობრ: თუ გარიგება გაბათილდა ან სხვა საფუძვლის გამო არაა, ასევე, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. მაგალითად, ჩუქების საფუძველზე პირმა მიიღო ნივთი, მაგრამ ჩუქების გაბათილება უკავშირდება ვალდებულების არარსებობას და მიღებული ექვემდებარება დაბრუნებას.

სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველს ქმნის. ის შესრულების კონდიციის ძირითადი შემადგენლობის ტოლფასოვანია და ვარაუდობს, რომ განგრძობადი შესაგებელი არსებობს. ამასთან, შესრულების კონდიციას აფართოებს განგრძობადი შესაგებელიდან წარმოშობილი კონდიცია, რამდენადაც ის სამართლებრივი საფუძვლის პირველდაწყებითად არარსებობას (სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი) უტოლებს განგრძობად შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში შესაგებელს უნდა ჰქონდეს განგრძობადი და არა დროებითი (ეპიზოდური) ხასიათი. გადამწყვეტია, რომ შესაგებელი შესრულების დროს არსებობდეს და შესაძლებელი იყოს მისი წარდგენა.

ამდენად, შესრულების უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებული შესრულებული უნდა დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა) რაიმეს შეძენა; ბ) ვითომ კრედიტორის შესრულების შედეგად გამდიდრებულის მიერ ქონებრივი სარგებლის მიღება; გ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენა და დ) არ უნდა იყოს გამორიცხული უკან გამოთხოვა.

2) უსაფუძვლო გამდიდრების ცნება, თავისებურებები, მოთხოვნის ფარგლები.

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულება განიხილება კანონისმიერი ვალდებულების ერთ-ერთ სახედ, რომელიც გულისხმობს პირის ქონების დაზოგვას, ან გაზრდას სახელშეკრულებო და კანონისმიერი საფუძვლის გარეშე. აღნიშნული შეიძლება გამოვლინდეს სხვა პირისათვის ქონების გადაცემით, სხვისი ქონების გამოყენებით, სხვის ნაცვლად რაიმე მოქმედების (ფსევდოვალდებულების) შესრულებით და ა. შ.

პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა, ან შეწყდა შემდგომში; ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

ამდენად, შესრულების ან სხვა გზით გამდიდრება უნდა არსებობდეს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რასაც თავად კანონი განსაზღვრავს. თუ არსებობს შესაგებელი, რომელიც ვალდებულებას გამორიცხავს, აღნიშნული მაინც არ უსპობს ფსევდოკრედიტორს შესრულების უკან დაბრუნების მოთხოვნას. ესე იგი, ვალდებულება მართლაც არსებობს, თუმცა მასზე უფლება არამართლობიერადაა

(უსაფუძვლო გამდიდრების თუ დელიქტის შედეგად) მიღებული, რაც ფაქტობრივად ნიშნავს მის არარსებულად განხილვას. ეს შესაგებელი არაა დროებითი და კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე გარემოება; ის ზოგადი და დროით შეუზღუდავი ხასიათისაა. კანონის დონეზე ეს გარემოება ასახულია ასე: „... ხანგრძლივი დროის განმავლობაში...“ იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით ლოგიკურად გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს გარკვეულწილად უხერხულობას წარმოშობს, ვინაიდან შეიძლება ისე იყოს აღქმული, თითქმის გარკვეული დროის შემდეგ ეს შესაგებელი შეიძლება მოიხსნას, ხოლო მოთხოვნა წარდგენილ იქნეს, რაც, მაგალითად, ქურდობის შემთხვევაში გამორიცხულია ამ კონკრეტული მოთხოვნისთვის.

უსაფუძვლო გამდიდრების სპეციფიკის შესასწავლად აუცილებელია მისი წინაპირობების დადგენა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კონდიქციიდან წარმოშობილი ყველა მოთხოვნის უფლების საერთო ნიშანია ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალემ მიიღოს ქონებრივი სარგებელი ამ ცნების ფართო გაგებით. ნებისმიერ უფლებას შეიძლება შეეხოს უსაფუძვლო გამდიდრება, ეს იქნება სანივთო თუ ვალდებულებითი ხასიათის.

ასევე, საგულისხმოა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანია გაუმართლებლად შეძენილი ქონების (შეღავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა. კონდიქციური ვალდებულებების ფუნქციაა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვა.

სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, პირმა შეიძლება სარგებელი მიიღოს მხოლოდ სამართლებრივი (სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ანუ კანონისმიერი) საფუძველით. სარგებლის მიღების უფრო გავრცელებული სახეა სახელშეკრულებო საფუძველი, თუმცა, პრაქტიკაში ასევე შეიძლება სარგებელი მიღებული იყოს კანონის საფუძველზე. ზემოთ დასახელებული ასპექტების გათვალისწინებით, უსაფუძვლო გამდიდრების ძირითად თავისებურებებად ითვლება:

ა) სარგებლის მიღება. უსაფუძვლო გამდიდრების დროს სარგებელი მიიღება სხვისი ქონების ხარჯზე პირადი ქონების გაზრდით ან დაზოგვით.

ბ) პირმა სარგებელი შეიძლება მიიღოს სამართლებრივი საფუძველის გარეშე. სუბიექტმა უსაფუძვლოდ სარგებელი შეიძლება მიიღოს როგორც სუბიექტთა ნებით, ისე მათი ნებისაგან დამოუკიდებლად. თუ უსაფუძვლო გამდიდრება ემყარება მხარეთა, ან მხარის ნებას, როგორც შემსრულებლის ისე მიმღების მხრიდან, მაშინ, უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ პირმა (პირებმა) მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად იმოქმედონ, რაც თავისთავად სამართლებრივ შედეგებზეც აისახება. ამასთან, როცა პირი უსაფუძვლოდ მიიღებს სარგებელს, მისგან მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულება შეიძლება შესრულდეს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე. თავის მხრივ, უსაფუძვლოდ მიღებული სარგებლის დაბრუნების

ვალდებულების აღსრულება სხვადასხვა გარემოებებს უკავშირდება. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება და საფუძვლიანობა დამოკიდებულია ზემოთ მოცემული გარემოებების კუმულაციური წესით არსებობაზე.

აქვე საგულისხმოა, რომ უკან დაბრუნების ვალდებულების შესასრულებლად არ უნდა არსებობდეს ამ მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებები, რომლებიც კანონმდებელმა კეთილსინდისიერების განხორციელებას დაუკავშირა. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამომრიცხულია კანონით განსაზღვრულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ შესრულება ზნეობრივ მოვალეობებს შეესაბამება;

ბ) გავიდა ხანდაზმულობის ვადა;

გ) ასევე მიმღების ვარაუდის შემთხვევაში იმასთან დაკავშირებით, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა უკან დაბრუნების მოთხოვნის პირობები;

დ) მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.

საგულისხმოა, რომ ზოგადად უსაფუძვლო გამდიდრების არსებობის დროს პირი იღებს (იძენს) ქონებას შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შენაძენი ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. მოცემული წესი ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების ძირითად ფუნქციას განსაზღვრავს, კანონმდებელმა დაადგინა, რომ მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას უნდა შეესაბამებოდეს ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოირიცხება უკან დაბრუნების მოთხოვნა.

როგორც სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან ჩანს, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შემენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის საწინააღმდეგო ანაზღაურების სახით. თუმცა ვინაიდან „შესრულების დაბრუნება“ (პირის მიერ უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, ზემომითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამოსილმა პირმა შეიძლება გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება დადგინდეს მაგალითად, მსგავსი ბინის ქირის ოდენობით. საქმე ისაა, რომ, სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უსაფუძვლოდ გამდიდრებული, მიუხედავად მისი კეთილსინდისიერება-არაკეთილსინდისიერებისა, მოვალეა, დააბრუნოს ნივთი სარგებლითურთ. არანამდვილი ხელშეკრულებიდან მიღებულის დაბრუნების მოთხოვნის გამკაცრებულ ხასიათს თავისი გამართლებაც აქვს და დაუშვებელია უსაფუძვლოდ მიღებული ნივთის

სარგებლის მოთხოვნა სსკ-ის 163-ე მუხლზე დაყრდნობით. სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ეფუძნება მოსაზრებას - მხარეებს უნდა დაუბრუნდეთ მათი შესრულებები და ამ შესრულებიდან მიღებული, ვინაიდან მდგომარეობა მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს პირვანდელს, ანუ მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, თუ მხარეები მოცემულ შესრულებებს არ განახორციელებდნენ (რესტიტუცია). ამასთან, შემსრულებლები იბრუნებენ არა მხოლოდ მათ მიერ გაწეულ შესრულებებს, არამედ იმ სარგებელს, რომელსაც ამ შესრულებიდან მიიღებდნენ. არანამდვილი ხელშეკრულებიდან მიღებულის დაბრუნების გამკაცრებული რეჟიმი იმითაა გამართლებული, რომ ვინც აბრუნებს შესრულებასა და სარგებელს, ამავე დროს, უფლება აქვს, მეორე მხარისგან მოითხოვოს თავისი შესრულებისა და მის შედეგად მიღებული სარგებლის დაბრუნება. შესაბამისად, ფაქტობრივად აქ ხაზგასმულის პრობლემის სინალაგმატურობა (ორმხრივი ხასიათი), რომელიც არა მარტო შესრულებების, არამედ ამ შესრულებიდან მიღებული სარგებლის დაბრუნების მოცულობის განსაზღვრის საფუძველია. ამიტომაცაა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოვალემ უნდა დააბრუნოს ან აანაზღაუროს მთელი შემოსავალი, რაც მან ამ ქონებით მოიპოვა. თუმცა ვინდიკაციის შემთხვევაში მოთხოვნა სულ სხვა მიზანს ისახავს, კერძოდ, ის არაა სინალაგმატურ კავშირზე დაფუძნებული და ემსახურება, ყველა სხვა დანარჩენი ასპექტების გაუთვალისწინებლად, მესაკუთრისთვის ნივთის დაბრუნებას. ვინდიკაციური მოთხოვნისთვის არაა არსებითი, არაუფლებამოსილმა მფლობელმა ნივთი მესაკუთრისგან ან მესამე პირისგან მიიღო შესრულებით თუ უბრალოდ ქუჩაში იპოვა. საქმე ისაა, რომ კეთილსინდისიერ მფლობელს ევალება ნივთის დაბრუნება, რომელიც არაფრითაა კომპენსირებული, ვინაიდან ვინდიკაცია, თავის მხრივ, მიმართულია ცალმხრივად ნივთის მესაკუთრისთვის დაბრუნებაზე და არ გულისხმობს მდგომარეობის ორმხრივად რეკონსტრუქციას.

თუ გადაცემული ქონების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, უნდა ანაზღაურდეს მისი ის ღირებულება, რაც ამ ქონებას შემენის მომენტში ჰქონდა. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ ნივთი უსაფუძვლოდ შემძენმა შემდეგში გაასხვისა ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით უფრო დაბალ ფასად.

ბათილი გარიგების ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს ორმხრივი რესტიტუცია, თუ კანონით რაიმე განსხვავებული ქონებრივი შედეგი არაა გათვალისწინებული. ბათილი გარიგების სხვა სამართლებრივი შედეგია ცალმხრივი რესტიტუცია, რომელიც გამოიხატება გარიგების მხოლოდ ერთი (კეთილსინდისიერი) მხარის მიერ პირუკუ შესრულების მიღებაში. თუმცა, სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს. სსკ-ის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განსხვავებულ წესს შეიცავს, რაც უკავშირდება იმას, რომ კონდიქციის დროს, მიუხედავად კეთილსინდისიერებისა თუ არაკეთილსინდისიერებისა, გამდიდრებულმა უნდა დააბრუნოს ნივთი სარგებლითურთ. აქ გადმოცემულია მისი ორმხრივი (სინალაგმატური) ხასიათი.

ქონების მიმღები თავისუფლდება ყოველთვის მიღებულის უკან დაბრუნების მოვალეობისგან, თუ შესრულების საგნის დაღუპვა ან გაფუჭება ხელშეკრულების ნამდვილობისას იწვევს ქონების გადამცემის პასუხისმგებლობას.

3) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (ცნება და წინაპირობები)

განასხვავებენ არანამდვილ და ნამდვილ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. თუ საქმის მწარმოებელი მოქმედებს ზოგადად სხვისი ინტერესისთვის, საქმე ეხება ნამდვილ neg. gestio-ს, რომლის სპეციფიკის დასადგენად აუცილებელია მისი წინაპირობების გაცნობა.

სსკ-ის 969-ე მუხლის საფუძველზე, ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წინაპირობებია: ა) სხვისი საქმე; ბ) დავალების ან სხვაგვარი უფლებამოსილების არარსებობა; გ) სხვის სასარგებლოდ საქმეების კეთილსინდისიერად შესრულების ნება დ) მესაკუთრის სურვილისა და ინტერესის შესაბამისი. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობისათვის უმნიშვნელოა, ცნობილია თუ არა შემსრულებლისთვის ამ დაინტერესებული პირის ვინაობა, ან იგი ცდება თუ არა მასში. ამასთან, მსგავსად დავალებისა, სხვისი საქმეების წარმოება უნდა იყოს ფართოდ განხილული; იგი მოიცავს სხვა პირისთვის სასარგებლო ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც მიმართულია როგორც გარიგების დადებისკენ, ისე სხვა მიზნისკენ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი გრძელდება მცირე ხანს.

ა) საქმეების წარმოების ცნება მსგავსად დავალების შემთხვევაში საქმეების წარმოებისა, გაგებულ უნდა იქნეს ძალიან ფართოდ; იგი მოიცავს ნებისმიერი სხვა პირისათვის სასარგებლო საქმიანობას, რომელიც მიმართულია როგორც გარიგების დადებისკენ, ისე სხვა მიზნისაკენ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი გრძელდება მცირე ხანს (მაგ., საჭის სწრაფად მოტრიალება ქუჩაში მოთამაშე ბავშვისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად).

სხვა პირისათვის ეს წინაპირობა სახეზეა, როდესაც შემსრულებელი საქმეებს ასრულებს არა (მხოლოდ) როგორც საკუთარს, არამედ (ასევე) როგორც სხვა პირისას. ამ დროს უმაღლესი ფედერალური სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს ობიექტურ და სუბიექტურ სხვა პირის, ისევე როგორც „ასევე-სხვა პირის“ საქმეებს, რომელთა შემთხვევაშიც სასამართლო პრაქტიკა ცალსახად ნათელი არ არის: ა) ობიექტურ სხვა პირის საქმეებს მიეკუთვნება ისეთი საქმიანობა, რომელიც უკვე თავისი ბუნებითა თუ თავისი გარეგნულად გამოხატული ფორმით შედის სხვა პირის უფლებათა და ინტერესთა სფეროში, მაგ.: დახმარების გაწევა, საფრთხის თავიდან აცილება, სხვა პირის ვალის გადახდა. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ობიექტურ სხვა პირის საქმეების შემთხვევაში, სხვისი საქმეების შესრულების ნება ივარაუდება; ბ) ობიექტურად საკუთარი ან ნეიტრალური საქმეები მხოლოდ გარეგნულად შესამჩნევი სხვა პირისათვის მოქმედების შედეგად (სუბიექტური სხვა პირის საქმეები). ამ შემთხვევაში სხვა პირის საქმეების შესრულების ნების პრეზუმფცია არ არსებობს; გ) ე. წ. „ასევე-სხვა პირის“ საქმეების შემთხვევაში, რომლებიც, თავიანთი გარეგნული სახის მიხედვით, სასარგებლოა არა მხოლოდ შემსრულებლისათვის, არამედ ასევე მესამე

პირისათვისაც, – სხვა პირის საქმეების ერთდროულად შესრულების ნება კვლავ ივარაუდება. მაგ.: სასამართლო პრაქტიკის მიერ (1) ხანძრის ჩაქრობა მუნიციპალური სახანძრო სამსახურის მეშვეობით ჩაითვლება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად ხანძრის გამომწვევის მიმართ და (2) წესების დარღვევით პარკირებული ავტომანქანის გადატანა საჯარიმო ავტოსადგომზე პოლიციის დავალების საფუძველზე მოქმედი კერძო მეწარმის მიერ შეიძლება განხილულ იქნეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად ავტომანქანის მფლობელის მიმართ; დ) კრიტიკა.

ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულების საფუძველზე გაკრიტიკებულ იქნა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ასეთი გაფართოებული ცნება. თუ ადმინისტრაციული დაწესებულებები მოქმედებენ თავიანთი საჯაროსამართლებრივი მოვალეობების შესრულებისათვის, მაშინ, ადმინისტრაციული ორგანოების კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა გადახდის განკარგულების შესახებ, რათა მოქალაქისათვის არ წარმოიშვას გადახდის ვალდებულება კერძოსამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე. თუ შემსრულებელი ერთდროულად ასრულებს ვალდებულებას მესამე პირის მიმართ, მაშინ მისი სხვისი საქმეების შესრულების ნების მიმართ არსებობს ეჭვები, როდესაც ეს, – როგორც ჩვეულებრივ შემთხვევაში, – გარეგნულად არ არის თვალში საცემი. გარდა ამისა, ამ სამმხრივ ურთიერთობაში სასურველია, საქმეები შესრულდეს შესრულების ურთიერთობების ფარგლებში.

ბ) დავალების ან სხვაგვარი უფლებამოსილების გარეშე. საქმეების შესრულებაზე სხვაგვარ კანონისმიერ უფლებამოსილებას ენიჭება უპირატესობა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებთან შედარებით. უფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს ნებისმიერი გარიგებიდან (გამოთქმა „დავალების გარეშე“ გაგებულ უნდა იქნეს ვიწროდ), საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებიდან, ისევე როგორც თანამდებობისა თუ ორგანოს მდგომარეობიდან. დახმარების გაწევის ზოგადი მოვალეობა არ არის უფლებამოსილება, ზემოაღნიშნული გაგებით; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები უფრო გამიზნულია მსგავსი სიტუაციების გასათვალისწინებლად.

გ) სხვისი საქმეების შესრულების ნება. დავალების გარეშე სხვისი, როგორც საკუთარი საქმეების შესრულების (ასევე ეწოდება სხვისი საქმეების შესრულება ან ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება) შემთხვევაში, მართალია, შემსრულებელმა იცის, რომ იგი ასრულებს სხვა პირის საქმეს (შემცნებითი ელემენტი), თუმცა, მას მისი შესრულება სურს არა დაინტერესებული პირისათვის (მიზნობრიობის ელემენტი), არამედ იგი საქმის შესრულებიდან სარგებელს თავისთვის იტოვებს. ტიპურ შემთხვევებს მიეკუთვნება სხვა პირის აბსოლუტური უფლებების დარღვევა, როგორიცაა, მაგ., სხვა პირის კუთვნილი ნივთებით სარგებლობა ან მათი გასხვისება. სახეზე უნდა იყოს ობიექტურად სხვა პირის საქმე. ობიექტურად ნეიტრალური საქმეები მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან ისინი სხვისი საქმეების შესრულების ნებით,

რომელიც სხვისი საქმეების შესრულებისას არ არსებობს, სხვა პირის საქმეები ხდება; ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელი; ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ პოზიტიური ცოდნა აუცილებელია, ხოლო წმინდა გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მოქმედებს პირველი ნაწილი. თუმცა, საკმარისია იმის ცოდნა, რომ საქმე შეიძლება შეცილებულ იქნეს (უკუქცევითი ძალით). მაგ.: ა იძენს სურათს ბ-სგან 1500 ევროდ იძულების მეშვეობით. მას შემდეგ, რაც ა-მ სურათი სხვა პირს მიჰყიდა 110 000 ევროდ, ბ-მ წარადგინა სარჩელი პირველი გარიგების წინააღმდეგ. ა შემდგომი გაყიდვის დროს არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა.

დ) მეპატრონის სურვილი ან ინტერესი

ე) სამართლებრივი შედეგები. შემსრულებლის პასუხისმგებლობასთან ერთად, ზოგადი ნორმების თანახმად, საკუთარი საქმეების შესრულებისას მოთხოვნის უფლებები გამომდინარეობს მხოლოდ დაინტერესებული პირის არჩევანის მიხედვით: თუ ის საქმეს თავის თავზე იღებს (პირდაპირ ან კონკლუდენტური მოქმედებით შესაბამისი მოთხოვნის უფლებების წარდგენით), მაშინ ვალდებულია შემსრულებლის წინაშე მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად. ამ მითითებაზე (დაინტერესებული პირი ვალდებულია შემსრულებლის წინაშე მიღებული დაბრუნებასთან დაკავშირებით), რომლის მიხედვითაც, პირიქით, შემსრულებელმა უნდა დაუბრუნოს მიღებული დაინტერესებულ პირს, – მოცემულ მითითებას შორის ერთგვარი წინააღმდეგობა უნდა გადაწყდეს უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული იმ საერთო შეხედულების თანახმად, რომ დაინტერესებული პირი ვალდებულია მხოლოდ ხარჯების ანაზღაურებაზე, უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, როდესაც შემსრულებელმა უნდა დააბრუნოს საქმეების შესრულების შედეგად მიღებული სარგებელი. ხშირად მოთხოვნის უფლების მიმართ ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, სარგებლის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას აქვს ის უპირატესობა, რომ იგი, უდავოდ, ვრცელდება ასევე შემსრულებლის მიერ მიღებულ შემოსავალზე, რომელსაც დაინტერესებული პირი ვერ მიიღებდა.

რაც შეეხება არანამდვილ neg. gestio-ს, ის ასახულია სსკ-ის 975-ე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია, რომ თუ პირი ასრულებს საქმეს იმ ვარაუდით, რომ ეს მისი საქმე იყო, მაშინ არ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების თავით დადგენილი წესები (საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი).

4) საზიარო უფლებების ცნება, წინაპირობები და ადგილი სამოქალაქო სამართალში

შესაძლებელია რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნოდეს ესა თუ ის უფლება, მაგალითად, საკუთრების უფლება ნივთზე (საერთო საკუთრების უფლება), აღნაგობის უფლება, დამქირავებლის უფლება და სხვ. როდესაც რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის ესა თუ ის უფლება, მაშინ ეს უფლება საზიაროა. საზიარო უფლების

თითოეულ მონაწილეს აქვს თავისი წილი ამ უფლებაში და ისინი მოწილეებად იწოდებიან.

საზიარო უფლებები შეიძლება სხვადასხვა საფუძვლიდან წარმოიშვან, მაგალითად, კანონიდან, ხელშეკრულებიდან და სხვ. კანონით მემკვიდრეობისას მემკვიდრეთა შორის სამკვიდროზე საზიარო უფლება აქვთ. ამ შემთხვევაში საზიარო უფლება კანონის ძალით წარმოიშობა. თუ რამდენიმე პირმა ერთად იყიდა ნივთი, მაშინ მათაც საზიარო უფლება ექნებათ ამ ნივთზე, მაგრამ ეს უფლება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი იქნება. ამიტომ საზიარო უფლებები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს მიეკუთვნებიან არა იმის გამო, რომ ისინი მხოლოდ კანონის ძალით წარმოიშობიან, არამედ იმიტომ, რომ მოწილეთა უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოიშობიან, მოწილეთა შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება.

კოდექსით დადგენილია, რომ თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ის თავი, რომელიც საზიარო უფლებებს ეხება, თუ კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მაშასადამე, კოდექსით განხილული წესების გარდა კანონით საზიარო უფლებებთან დაკავშირებით შეიძლება სხვა წესებიც იქნეს დადგენილი. მაგალითად, მრავალბინიან სახლში ბინის მესაკუთრეებს აქვთ საერთო საკუთრება სახლის ზოგიერთ ნაწილზე, ე. ი. ბინის მესაკუთრეებს აქვთ საზიარო უფლებები, მაგრამ კანონი ამ საკუთრების რეგულირების ზოგიერთ განსხვავებულ წესს ითვალისწინებს. ჩვეულებრივ თითოეულ მოწილეს თანაბარი წილი აქვს, მაგრამ შესაძლებელია სპეციალურად სხვა რამ იყოს დადგენილი, ე. ი. თითოეულის წილი არ იყოს თანაბარი. მაგალითად, საზიარო საგნის ნახევარი ეკუთვნის ერთ მოწილეს, ერთი მეოთხედი მეორეს და ა. შ. თითოეულ მოწილეს წილის თანაზომიერად ეკუთვნის ასევე ნაყოფის წილი. თუ მაგალითად, ერთ-ერთი მოწილის წილი შეადგენს ერთ მეოთხედს, მაშინ მას ეკუთვნის საზიარო საგნიდან მიღებული შემოსავლის ერთი მეოთხედი.

თითოეულ მოწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას. სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებს, რომლებიც საზიარო უფლებებს ეხებიან, უპირატესად მხედველობაში აქვთ საერთო საკუთრებიდან გამომდინარე საზიარო უფლების საგანი საერთო საკუთრების გარდა შეიძლება სხვაც იყოს, მაგრამ მათთვის კანონი უმეტეს შემთხვევაში სხვა წესებს ადგენს.

საერთო საკუთრება ქონებაზე შეიძლება სხვადასხვა საფუძვლიდან წარმოიშვას - მემკვიდრეობით, ქორწინებით, ნივთის ერთობლივად შეძენით, ერთობლივი საქმიანობის შედეგად, მასალის გადამუშავების შედეგად და ა. შ. საერთო საკუთრებისთვის დამახასიათებელია საკუთრების უფლების სუბიექტთა სიმრავლე, რომლებიც საერთო საკუთრების მოწილეები (თანამესაკუთრეები) არიან, სწორედ თანამესაკუთრეები არიან საზიარო უფლების მატარებლები.

კანონი საერთო საკუთრების ორ სახეს ითვალისწინებს - წილად და თანაზიარ საერთო საკუთრებას.

წილადი საკუთრების დროს თანამესაკუთრეს ეკუთვნის უფლება განსაზღვრულ წილზე $1/3$ -ზე $1/4$ -ზე, $2/4$ -ზე და ა. შ. თითოეულ მესაკუთრეს აქვს საერთო საკუთრების წილი. ეს იმაზემითითებს, რომ თითოეული მესაკუთრის უფლება შეზღუდული არ არის საერთო ნივთის რაიმე კონკრეტული ნაწილით, არამედ ვრცელდება მთელ ნივთზე.

წილადი საკუთრებისგან განსხვავებით თანაზიარი საკუთრების თითოეულ მონაწილეს არა ქვს საერთო საკუთრების უფლებიდან წინასწარ განსაზღვრული წილი. თანაზიარი საკუთრების დროსაც თანამესაკუთრეებსაც საზიარო უფლებები აქვთ, მაგრამ ისინი სპეციალური ნორმებით რეგულირდებიან, საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების არსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი საერთო წილად საკუთრებაზე ვრცელდებიან.

5) სიცოცხლის ხელყოფით, ჯანმრთელობისა და სხეულის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ჯანმრთელობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიკეთეა, რომელიც ფიზიკურ პირს დაბადებიდან აქვს. ასეთივე პოზიციაა განმტკიცებული საქართველოს კონსტიტუციაში. ჯანმრთელობის უფლების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საფუძვლები წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 413-ე მუხლებში (თუმცა, შესაძლებელია სხვა მუხლების მოხმობაც დელიქტური ვალდებულებებიდან). ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის მდგომარეობა, რის დაზიანებასაც ადამიანის სრული კეთილდღეობის დაკარგვა მოჰყვება. ჯანმრთელობის უფლება აბსლუტური უფლებაა, რადგან მას შეესაბამება ამ უფლების დამრღვევ პირთა თავშეკავების მოვალეობა. სხეული, თავის მხრივ, უკავშირდება სხეულებრივი მთლიანობის (ხელშეუხებლობის) დაცვას. სხეულის დაზიანებამ მოიაზრება ჯანმრთელობის ზიანის მიყენება, თუმცა არსებობს ჯანმრთელობის ისეთ ხელყოფაც, რომელიც არაა სხეულის დაზიანება, მაგალითად, სულიერი (ფსიქიკური) ზიანი, რომელიც ავადმყოფობას ეფუძნება და სამედიცინო დახმარებას საჭიროებს. აღნიშნულს პრაქტიკული დატვირთვა აქვს, ვინაიდან აზუსტებს, დაზარალებულის რომელი მოთხოვნების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არსებობს. ამასთან, სხეულის დაზიანება გულისხმობს ფიზიკური (სხეულებრივი) მთლიანობის ხელყოფას. რაც შეეხება ჯანმრთელობის შელახვას, ის უკავშირდება სხეულის ნორმალური ფუნქციის დაქვეითებას, ასევე, ტკივილს თუ სხვა უარყოფით ცვლილებას (შედეგს), რომელიც გამოიხატება ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური ან გონებრივი მდგომარეობის დარღვევაში.

სხეულისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გარანტირებულია ყოველგვარისახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშ. სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით.

ზიანის მიყენების ფაქტით დაზარალებულს შეიძლება წაერთვას შრომის უნარი. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს მარტო პროფესიული შრომის უნარი დაკარგა დაზარალებულმა, თუ ამავედროულად - საერთო შრომის უნარიც. შესაძლებელია, რომ დაზარალებულს მარტოდენ შრომის უნარი შეუმცირდეს. ასევე შესაძლებელია, რომ ზიანის მიყენების შედეგად პირს მხოლოდ მოთხოვნილებები გაეზარდოს, ვთქვათ, იგი საჭიროებს სპეციალურ კვებას, დასვენებას და ა. შ. ყველა შემთხვევაში ზიანი უნდა ანაზღაურდეს ყოველთიური სარჩოს გადახდით.

დაზარალებულის მკურნალობის ხარჯები იქნება დადებითი ზიანი დ ამისი ანაზღაურება შეიძლება როგორც მკურნალობის შემდეგ, ისე მანამდე. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მოითხოვს მას დაზარალებული. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება.

სარჩოს გადახდა გულისხმობს მის როგორც ფულადი, ისე ნატურის სახით გადახდას. ერთბაშდ სრული ფულადი კომპენსაციის მოთხოვნ დაზარალებულს შეუძლია მხოლოდ საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. ასეთი საფუძველი, თავის მხრივ, დამოკიდებულია, როგორც ზიანის მიყენების ხასიათზე, ისე დაზარალებულის ინტერესზედაც.

სხეულის დაზიანებასა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებას უმეტესად ქონებრივი ზიანი მოსდევს ხოლმე. მაგრამ, თუკი არაქონებრივი ზიანიც იქნება, მაშინ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. სხეულის დაზიანებამ ან ჯანმრთელობის მოშლამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მორალური ზიანი. ყველა შემთხვევაში, როცა მისი ანაზღაურების საკითხი დგება, ზიანი უნდა იყოს იყოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ამდენად ანგარიშგასაწევი. უცხოური სასამართლო პრაქტიკა სავსეა ასეთი ზიანის ანაზღაურების პრაქტიკით. სანიმუშოდ მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ერთ-ერთმა მოქალაქემ მეორეს ხუმრობით აცნობა, რომ მის ქმარს შეემთხვა უბედურება, მოიტეხა ფეხი და წევს საავადმყოფოში. ასეთი ყალბი ინფორმაციით მოსარჩელემ განიცადა ძლიერი ფსიქიკური ტრავმა და აუფლება მოიპოვა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხეულისა და ჯანმრთელობის დამცავი უფლებების, როგორც აბსოლუტური უფლებების, ხელყოფით წარმოიშობა დელიქტური ვალდებულება. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებისათვის ან

სიკვდილისათვის, ან პაციენტისათვის მიყენებული მორალური ან მატერიალური ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დელიქტურ ვალდებულებათა კარში, კერძოდ, 1007-ე მუხლში საუბარია სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ზიანი შეიძლება იყოს ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზის შედეგი და ა. შ.

ქონებრივ ზიანთან დაკავშირებული პიროვნების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი შეიძლება მიადგეს მხოლოდ ფიზიკურ პირს: თავად დაზარალებლს, დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში - ომ შრომისუუნარო პირებს, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებიან და ა. შ. ყველა მათგანი წარმოადგენს უფლების სუბიექტს.

სამედიცინო დაწესებულებას ეკისრება პასუხისმგებლობა პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს არასახელშეკრულებო (დელიქტური) ვალდებულებების წამოშობის ოთხი ზოგადი პირობა: ზიანი, ქმედების/უმოქმედობის არამათლზომიერება (მართლწინააღმდეგობა), ბრალი და მიზეზობრივი კავშირი.

სამედიცინო დაწესებულების ბრალი, რაც გამოიხატა არამართლზომიერ და ბრალეულ მოქმედებაში/უმოქმედობაში შეიძლება დადგინდეს შემდეგი მტკიცებულებების საფუძველზე: პროფესიული დაავადების შექმნა არასწორი დიაგნოზის საფუძველზე, პაციენტისთვის არასათანადო ყურადღება, რამაც პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია და ა. შ.

მუშაკის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში დგება პასუხისმგებლობის საკითხი და იგი ეკისრება სამედიცინო დაწესებულებას. სამედიცინო დაწესებულებას შეუძლია რეგრესის წესით მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება პირს, რომლის ბრალითაც მიადგა ზიანი ამა თუ იმ პირის ჯანმრთელობას. აღნიშნულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ბრალის ხარისხი, ზიანის სიმძიმე და სხვა გარემოებანი.

ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში ბრალი მას არ მიუძღვის. მაგალითად, სამედიცინო დაწესებულების მუშაკის მიერ მძიმე ქირურგიული ოპერაციის ჩატარებისას, რომელიც განხორციელდა, პაციენტის წინასწარი თანხმობის საფუძველზე, პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება სამედიცინო დაწესებულებას, თუ იგი მოქმედებდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების ფარგლებში და არ არსებობს ბრალი.

6) სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

მნიშვნელოვან დელიქტურ ვალდებულებას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (მ. 999). საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათის დელიქტურ ვალდებულების შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას, გამოიყენება საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მოთხოვნებიც.

აღნიშნული დელიქტის წარმოშობისათვის აუცილებელია რამდენიმე პირობის არსებობა, კერძოდ, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის გათვალისწინებული ვალდებულებების, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევა და ადამიანის სიკვდილის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის მოშლის, ანდა მგზავრის ნივთის დაზიანების ფაქტები (მ. 999.1). თვით სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთისა და მგზავრთა გადაყვანა-გადაზიდვის სამოქალაქო ვალდებულებებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილის მე-12 თავი (668-708 მმ). საერთოდ კი გადაზიდვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა იცნობს მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის შემდეგ სახეებს (ტრანსპორტის სახეთა მიხედვით): სარკინიგზო, საზღვაო, შიდა წყლის, საჰაერო და საავტომობილო სახეებს. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი სპეციფიკა და განსაკუთრებული წესები (უსაფრთხოების), რომლებიც რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით, საქართველოს საჰაერო, საზღვაო კოდექსებითა და საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით. გარდა აღნიშნული აქტებისა, თუ დელიქტი საერთაშორისო კერძო ხასიათს ატარებს, მისი გადაწყვეტისას ითვალისწინებენ 1993 წელს საქართველოს მიერ რატიფიცირებულ კონვენციის „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“, ასევე, რიგი საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო საჰაერო მიმოსვლებზე სხვა შეთანხმებათა მოთხოვნებსაც.

სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის დელიქტური ვალდებულება ვრცელდება ყველა მათგანზე.

სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე (მ. 668). ხოლო მგზავრის სიკვდილის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის მოშლის ანდა მისი ბარგის დაზიანების შემთხვევაში, რაც აუცილებლად გამოწვეული უნდა იყოს დელიქტენტის (სატრანსპორტო საშუალების მფლობელის) სატრანსპორტო საშუალების (ავტომანქანა, სარკინიგზო, საზღვაო და სხვა სატრანსპორტო საშუალება) ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესების

დარღვევით, იგი ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. თუმცა აღნიშნული ზიანი არ ანაზღაურდება, თუ:

ა. ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, რომელიც მგზავრს მგზავრობის ან გადაყვანისას თან არ მიაქვს;

ბ. ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი;

გ. ზიანი გამოწვეულია ფორს-მაჟორულ გარემოებათა (დაუძლეველი ძალის, სტიქიური უბედურებების და სხვა) გამო.

დელიქტენტის ორმაგ ვალდებულებას ითვალისწინებს 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, იგი არასაკუთარი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას (მისი მფლობელის ნებართვის გარეშე) ვალდებულია ანაზღაუროს მისი მფლობელის ნაცვლად მიყენებული ზიანი, ხოლო, თუ ეს ზიანი უშუალოდ მფლობელის ბრალითაა გამოწვეული (მოსარგებლე მის მიერ იყო დანიშნული სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას ქონდა გადაცემული იჯარით ან სარგებლობის სხვა უფლებით), მაშინ დელიქტენტი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან და ეს მოვალეობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების უშუალო მფლობელს. ამდენად, ზემოაღნიშნული ერთგვარად იცავს თვით სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს მფლობელის ბრალეული მოქმედებისაგან. ასე მაგალითად, თუ შვილი მამის დაუკითხავად წაყვანილი ავტომანქანით დააზიანებს მგზავრის ჯანმრთელობას, სწორედ მას ეკისრება ზარალის ანაზღაურება ანაზღაურების გადახდის შესაძლებლობის გათვალისწინებით და არა ავტომანქანის უშუალო მფლობელს.

7) მხარდამჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

სკ-ს 995-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხარდაჭერის მიმღებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდამჭერი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად დაენიშნა.

ტერმინი მხარდაჭერის მიმღები პირი (ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი) მოიაზრებს სამ ძირითად კომპონენტს, რომელთაგან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს პირის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონედ პირად (მხარდაჭერის მიმღებად) აღიარებას. ტერმინი გულისხმობს:

1) ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები; ფსიქიკური,

გონებრივი/ინტელექტუალურ დარღვევების დასადგენად აუცილებლად უნდა არსებობდეს სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმად პირს აქვს ისეთი დაავადებები, როგორიცაა შიზოფრენია, გონებრივი ჩამორჩენილობა, ალცჰაიმერი და ა.შ. სამოქალაქო კოდექსში ამ ტერმინის შემოღებამდე, მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო დასკვა იყო საკმარისი იმისათვის, რომ პირი სასამართლოს ელიარებინა ქმედუწაროდ და უარი ეთქვა მისთვის სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებაზე, რაც პრინციპულ წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო მიდგომასთან. ამ მიდგომის გათვალისწინებით, სამედიცინო დასკვნის არსებობა არ არის საკმარისი ფაქტობრივი გარემოება იმისათვის, რომ დღის წესრიგში დადგეს პირის სამოქალაქო ქმედუწარიანობის განხილვის საკითხი. ამისათვის, აუცილებელია დამატებით ქვემოთ განხილული ორი კომპონენტის არსებობაც.

2) ეს დარღვევები სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებაში ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას აქ, უპირველეს ყოვლისა, უარია ნათქვამი წარსულში არსებულ მიდგომაზე, რომლის თანახმად, პირს სრულად წართმეული ჰქონდა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში არათუ დამოუკიდებლად, არამედ მეურვის დახმარებით მონაწილეობის უფლება. მხარდაჭერის მიმღებ პირს გააჩნია სამოქალაქო ქმედუწარიანობა, თუმცა, შესაძლოა, მისი ფსიქიკური, გონებრივი მდგომარეობისა და სოციალური უნარ-ჩვევების გამო მას სამოქალაქო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების პროცესში დამოუკიდებლად არ შეეძლოს სრული და ეფექტიანი მონაწილეობა და ამისათვის საჭიროებდეს მხარდამჭერის დახმარებას ა) მხრდამჭერის მიმღები, ანუ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, რომელიც საჭიროებს მხარდაჭერას და ბ) მხარდამჭერი, ანუ ვინც ეხმარება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებაში).

3) საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირის სრული და ეფექტიანი მონაწილეობა იზომება სხვებთან თანაბარ პირობებში მონაწილეობის შესაძლებლობით. საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირის სრული და ეფექტიანი მონაწილეობა სხვებთან თანაბარ პირობებში გულისხმობს სამოქალაქო სამართლებრივი უფლებებითა და მოვალეობებით სხვების თანასწორად სარგებლობას. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირმა, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების შეფასების შემდეგ, მხარდამჭერის დახმარებით, თავად უნდა მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, ისევე, როგორც მსგავს გადაწყვეტილებას იღებს ქმედუწარიანი (18 წელს მიღწეული პირი, ან არის პირი, რომლის ემანსიპაცია მოხდა 18 წლამდე, ქორწინების გამო.)

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის

გაკეთების შესაძლებლობას, კანონმდებელი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს ქმედუნარიან პირად მიიჩნევს, რომელიც თავის ნებას მხარდამჭერი პირის მიერ გაწეული დახმარებით გამოხატავს. შესაბამისად, ყველა ადამიანს გააჩნია სამართალსუბიექტობა.

სწორედ ამიტომ მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხარდაჭერის მიმღებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდამჭერი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად დაენიშნა. ამ შემთხვევაში მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხარდამჭერს. მხარდამჭერი პირების ბრალი გამოიხატება ჭკუასუსტზე ან სულით ავადმყოფზე ზედამხედველობის განხორციელების უგულებელყოფაში.

მხარდამჭერი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ზიანი იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება. ასევე მხარდამჭერი პირი, რომელსაც დაეკისრა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შეიძლება განთავსდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ ის დაადასტურებს, რომ მხარდაჭერის მიმღებს ზიანის მიყენების მომენტისათვის აღარ სჭირდებოდა მხარდაჭერა ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

8) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

კანონი ზიანის ანაზღაურებას აკისრებს პირს, რომლის მუშაკიც თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს მიაყენებს მესამე პირს. მესამე პირია ნებისმიერი სხვა პირი, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ეს პირი სამუშაოს მიმცემის მუშაკს თუ არა, რომელსაც მიაღება ზიანი სამუშაოს მიმცემის მუშაკის გამო. პირი, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანი, შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი.

მუშაკის მიერ მისი შრომითი ვალდებულების შესრულებაში გაგებული უნდა იყოს სამუშაოს შესრულება, როგორც შრომითი ხელშეკრულებიდან, ისე შრომითი ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ განხორციელებული ქმედებიდანაც, თუ იგი სამუშაოს მიმცემის მიერ იქნა დავალებული სამსახურთან დაკავშირებით. „მუშაკად“ მიიჩნევა არა მხოლოდ ის პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ ისიც, რომელიც ასრულებს სამუშაოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ პირობის არსებობისას, თუ ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა ან უნდა ემოქმედა შესაბამისი იურიდიული ან ფიზიკური პირის დავალების საფუძველზე ანდა მისი მეთვალყურეობის ქვეშ.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ მუშაკის მოქმედებაში არის სამოქალაქო სამართალდარღვევის ყველა ელემენტი, რაც აუცილებელია დელიქტური ვალდებულების წარმოშობისთვის: მიზეზობრივი კავშირი, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისთვის ზიანის მიყენებისათვის სამუშაოს მიმცემი - ფიზიკური ან იურიდიული პირი პასუხს აგებს თავისი, და არა სხვისი ბრალისთვის. ასეთ შემთხვევაში, მუშაკის მოქმედება შეფასდება როგორც თვით სამუშაოს მიმცემის მოქმედება. სამუშაოს მიმცემი პასუხსარ აგებს, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე. სამუშაოს მიმცემის ბრალი მოიცავს მისი მუშაკის ბრალეულ ქმედებას, იგი ჩადენილია სამსახურებრივი ვალდებულების შესრულების გამო.

დავის წარმოშობის შემთხვევაში, მოპასუხედ გამოვა პასუხისმგებელი პირი, ხოლო ზიანის უშუალო მიმყენებელი - მუშაკი, საქმეში ჩართული იქნება, როგორც მესამე პირი.

997 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაზარალებული უფლებამოსილი არაა უშუალოდ მუშაკისადმი წარადგინოს მოთხოვნა მის მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე. თავისი მოთხოვნა დაზარალებულს შეუძლია წაუყენოს შესაბამის ორგანიზაციას, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში უფლებამოსილია თავის მხრივ მუშაკს რეგრესის წესით მოსთხოვოს მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისთვის, თუნდაც სამუშაოს მიმცემის ბრალით, მაგრამ არა შრომითი მოვალეობის შესრულებისას პასუხისმგებელია თავად მუშაკი და არა სამუშაოს მიმცემი.

9) წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, გამომრიცხველი გარემოებები

წუნდებული პროდუქტის სრული აღმოფხვრა სამოქალაქო ბრუნვიდან როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად წარმოუდგენელია. რამდენად მკაცრიც უნდა იყოს ხარისხის დადგენის კრიტერიუმები, თუნდაც შემუშავდეს ახალი წესები, პროცედურები მის დასადგენად, გატარდეს წუნდებული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში არგაშვების ღონისძიებები (ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი ბაზრიდან გამოთხოვის), ყოველთვის იქნება შემთხვევები, როდესაც მომხმარებელი სწორედ ამ წუნდებული პროდუქტის გამოყენებით განიცდის ზიანს. უშეცდომო არავინ და არაფერია - არც ადამიანები, არც ტექნიკური დანადგარები. განსხვავება შეცდომის სფეროშია. შეცდომა შეიძლება მოხდეს პროდუქტის კონსტრუქციის შექმნისას, ინსტრუქციის შედგენისას თუ წარმოებისას.

იურიდიულ ლიტერატურაში პროდუქტის ხარისხის ზუსტი (სრულყოფილი) განმარტება არ არსებობს. გვაქვს მხოლოდ წუნდებული პროდუქტის განმარტება, ანუ ის

კრიტერიუმი, რომლის არსებობის შემთხვევაში პროდუქტი წუნდებულად ჩაითვლება. თუმცა, არსებობს აგრეთვე ხარისხის დამკვიდრებულ-ი კრიტერიუმები, როგორიცაა „კარგი“, „საშუალო ხარისხი“ და ა.შ. ხარისხი არაა სამართლებრივი ცნება. ის არც სამოქალაქო სამართალ-შია განმარტებული. ეტიმოლოგიურად სიტყვა „ხარისხი“ ლათინური სიტყვაა და ითარგმნება, როგორც თვისობრიობა, შემადგენლობა ნივთისა.

სსკ-ის 1010-ე მუხლი წუნდებულად მიიჩნევს პროდუქტს, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო პროდუქტისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წუნდებულია პროდუქტი, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ელის მისგან პირი, როგორც პროდუქტზე ზოგადი წარმოდგენის გათვალისწინებით, ისე ჩვეულებრივი გამოყენების პირობებში, აგრეთვე იმ პერიოდისთვის არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, როდესაც პროდუქტი ბაზარზე განთავსდა.

მოსალოდნელი საიმედოობის ცნება ზოგადსამოქალაქოსამართლებრივი პრინციპია და ვალდებულებითი სამართლის მარეგულირებელი ნორმები მას ბევრგან ახსენებენ. მაგალითად ასეთ ცნებასთან გვაქვს საქმე როდესაც ხელშეკრულებათა შესრულებისას საკითხი ეხება შესრულებულის ხარისხს. მაგალითად სკ-ის 380-ე მუხლი ადგენს, რომ თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი. ნივთის მოსალოდნელი საიმედოობა და ხარისხი ყოველი კონკრეტული სიტუაციიდან უნდა დადგინდეს და შეფასდეს. მაგალითად თუკი მყიდველი ნივთს ყიდულობს რომელიმე ცნობილი ფირმის მაღაზიაში და იხდის შესაბამის თანხას, ცხადია მისი მოლოდინი გაცილებით უფრო მეტი იქნება იმასთან შედარებით ვინც ბაზრობაზე ყიდულობს ღია ცის ქვეშ, მტვერში და ანტისანიტარულ მდგომარეობაში მყოფ პროდუქტს.

არ მიიჩნევა წუნდებულად მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი.

დელიქტურ ვალდებულებათა ერთ-ერთ სახეს წამოადგენს პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. როგორც წესი, პროდუქტის მწარმოებელსა და საბოლოო მომხმარებელს შორის არ არსებობს პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობა. გამომდინარე აქედან, უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის მიმართ არ გამოიყენება ნაკლული ნივთის გამო პასუხისმგებლობის ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს, ასევე - ელექტროდენი. მათ არ მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, მიწათმოქმედებიდან მიღებული სასოფლოსამეურნეო პროდუქტები (ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). მწარმოებლად მიიჩნევა პირი, ვინც აწარმოა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი, ასევე, ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო

ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით როგორც მწარმოებელი გამოდის. მწარმოებლად ითვლება აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების, ლიზინგის ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნებით თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით. მწარმოებლის ვინაობის დაუდგენლობის შემთხვევაში, ყოველი მიმწოდებელი მიიჩნევა მწარმოებლად (სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლი). უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის დელიქტური ქმედების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელიწადს იმ განსაკუთრებული დათქმით, რომ მწარმოებლის პასუხისმგებლობა ქარწყლდება, თუ მან ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა ათი წლის შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 1015-ე მუხლი). ბათილია შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მწარმოებლის პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტისათვის წინასწარ გამორიცხულია და შეზღუდული.

უხარისხო პროდუქტით გამოწვეული დელიქტური ვალდებულების საერთაშორისო კერძო ხასიათის შემთხვევაში მისი გადაწყვეტის წყაროდ, ქართულ კანონმდებლობასთან ერთად, გვევლინება გაეროს 1985 წლის 9 აპრილის „სახელმწიფოთა პრინციპები მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის“. მომხმარებლად მოიაზრება პირადი საჭიროებისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოყენებელი, შემძენი, შემკვეთი ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ასპექტებს ითვალისწინებს დსთ-ს ქვეყნების სანიმუშო სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტიც.

თავისთავად პროდუქტის მწარმოებლის - დამამზადებლის (შემსრულებელი, გამყიდველი) უშუალო მოვალეობას წარმოადგენს არა მარტო უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არამედ მისი ვალდებულებაა დროულად მიაწოდოს მომხმარებელს აუცილებელი და უტყუარი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მოქალაქის ძირითადი სამომხმარებლო უფლებების დაცვას, კერძოდ, მოითხოვოს: საქონლის, სამუშაოს, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურების სათანადო ხარისხი, პროდუქციის უსაფრთხოება, სათანადო ინფორმაცია პროდუქტის რაოდენობაზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს, სკ-ის 1009-ე მუხლში ჩამოთვლილია მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები. კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როცა:

1) მწარმოებელს ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ მწარმოებელი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისას, თუ იგი დაამტკიცებს, რომ წუნდებული პროდუქტი მას ბაზარზე არ გაუტანია. აქიგულისხმება როგორც ის შემთხვევა, როდესაც პროდუქტის რეალიზაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა, ასევე როცა

წუნდებული პროდუქტი სარეალიზაციოდ გადის მწარმოებლის ნებისგან დამოუკიდებლად, სხვისი მოქმედებით.

2) საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წუნი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტის ბაზარზე განთავსების მომენტში არ არსებობდა. მაგალითად, ასეთი შემთხვევები გვექნება, როცა სარეალიზაციოდ გატანილი პროდუქტია თავდაპირველად სულაც არ არის ნაკლიანი, მაგრამ მისი არასათანადო პირობებში შენახვა იწვევს მის გაფუჭებას.

3) მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. კერძოდ, ეს ის შემთხვევაა, როცა პროდუქტი არ იყო გამიზნული ბაზარზე განთავსებისთვის, ან ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციისთვის, ან პროდუქტი არ ყოფილა წარმოებული/გავრცელებული მწარმოებლის მიერ მისი საწარმოო საქმიანობის პერიოდში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება „მიზანს“, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს რეალიზაციის მიზანი, რაც გამორიცხავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას. ამავდროულად, პროდუქტი შესაძლოა დამზადებული იყოს პირადი ან საოჯახო მიზნებისათვის.

4) პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს. აქ საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, რდესაც წუნი გამოიწვია პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანის დროს არსებულ ტექნიკურ რეგლამენტაციასთან შესაბამისობამ. ცხადია მწარმოებელი ამის გამო პასუხს არ აგებს და უფრო ახალი კანონი, რომელიც ამძიმებს მწარმოებლის მდგომარეობას მასზე არ გავრცელდება.

5) შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანისას. მწარმოებელი არ შეიძლება იყოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების რისკის მატარებელი და თუ მეცნიერული ან ტექნიკური ცოდნა პროდუქტის მიმოქცევაში გაშვების მომენტისათვის არ იყო იმგვარი, რომ მწარმოებელს წუნის აღმოჩენის საშუალება ჰქონოდა, მაშინ მწარმოებელი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

6) თუ საქმე გვაქვს პროდუქტის ნაწილის წარმოებასთან, მაშინ მისი მწარმოებლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ნაკლი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნაკლი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელი ნაწილიც გახდა მწარმოებლის მიერ წარმოებული პროდუქტი.

7) მწარმოებლის პასუხისმგებლობა შესაძლოა შემცირდეს ან სრულად გამოირიცხოს, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. „შერეული ბრალის“ ინსტიტუტთან, რომლის მიხედვითაც, მწარმოებლის პასუხისმგებლობისაგან

განთავისუფლება ან მისი შემცირება დამოკიდებულია დაზარალებულის ბრალის ხარისხზე.

8) აღსანიშნავია, რომ მწარმოებელს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისთვის, თუ ამ პროდუქტს ზიანი არ გამოუწვევია.

10) მორალური/არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

ექტიმოლოგიურად არაქონებრივი ზიანი მორალური ზიანის იდენტურია. მორალური ზიანი უნდა უნდა გულისხმობდეს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით. მორალურისაგან განსხვავებით, ქონებრივი ზიანი მხოლოდ გარკვეული ფულადი ღირებულების მქონე სიკეთის ხელყოფაა. მართალია, როგორც წესი, ორივე შემთხვევაში ექვივალენტს ფული წარმოადგენს, მაგრამ, თუ ერთ შემთხვევაში მატერიალური ინტერესის გამოსწორება ხდება, სხვა დროს, ეს ემსახურება არამატერიალური ინტერესების დაცვას. ამიტომაცაა, რომ ქონებრივი ზიანი უფრო მატერიალური ზიანია თავისი გარეგნული გამოხატულებით და მისი იდენტიფიკაცია - სიდიდის განსაზღვრა შედარებით ადვილიცაა. ეს იმიტომაც, რომ თვით ქონება წარმოადგენს შეფასების საზომს და ამდენად, ობიექტური მასშტაბები თვით დაზარალებული სუბიექტის გარეთაა. ცხადია, ცალკეულ შემთხვევებში ანგარიში ეწევა თვით სუბიექტის ინტერესებსაც, მაგრამ ეს შეფესებისათვის, როგორც წესი, მეორეხარისხოვანია. არაქონებრივი ზიანის ვითარებაში ობიექტური მასშტაბები თვით დაზარალებულის სუბიექტშია, რაზედაც თვით ზიანის სახელწოდებაც მიგვანიშნებს. ამ განსხვავების მიუხედავად, სამოქალაქო სამართალდარღვევას შეიძლება, რომ ერთდროულად მოჰყვეს როგორც ქონებრივი ზიანი, ისე არაქონებრივი. ასეთ ვითარებაში შეიძლება ანაზღაურდეს ორივე სახის ზიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

თუ ქონებრივი ზიანის მიმართ კანონმდებელი ერთობ უხვია და ამ აზრით, იგი არც კი მოხაზავს მის ფარგლებს, მორალური ზიანის მიმართ სამოქალაქო კოდექსი ადგენს: „არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“. ასეთი დანაწესის მიზანი უნდა იყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და წესრიგის უზრუნველყოფა, რითაც კანონმდებელმა ერთგვარი ზღვარი გაავლო ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს შორის და ერთმანეთისგან გამიჯნა ისინი. კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში არ იგულისხმება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი შემთხვევები. მხედველობაშია ასევე კერძო თუ საჯარო სამართლებრივი ხასიათის სხვა ნორმატიული აქტები (კანონები).

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კოდექსის 413-ე მუხლით განსაზღვრულ საკანონმდებლო წესრიგში მოქცევა, შესაძლებლობას იძლევა თავი დავიზღვიოთ მისი მოქმედების გარგლების დაუსაბუთებლად გაფართოებისაგან. აქედან უკვე ჩანს, რომ ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მარტოდონ ქონებრივ ზიანს. მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ, თუ კანონით არაა გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება. როცა გათვალისწინებულია, ცხადია, სრული ანაზღაურების დეფინიციაში შევა იგი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოებმა თავად უნდა ამოავსონ კანონის ხარვეზები და დასაბუთების ახალი პრეცედენტები.

შეიძლება მხარეები ხელშეკრულებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მაგრამ მორალური ზიანის ანაზღაურება მივიჩნიოთ დელიქტურ პასუხისმგებლობად. ასე მაგალითად, პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობას სამედიცინო მომსახურებაზე, მართალია, ხელშეკრულება უდევს საფუძვლად, მაგრამ აქედან წარმომდგარი ზიანი დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებით ანაზღაურდება.

სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს „გონივრული დასამართლიანი ანაზღაურების სახით“. ვინაიდან მორალური ზიანი თავისი ფორმით სპეციფიკური მოვლენაა, შეუძლებელია აქ ანაზღაურების მიზანი იყოს სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ დააბრუნებს დაზარალებულს წარსულში. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ისე ობიექტური გარემოებანი, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება, როგორიცაა: ხელყოფილი სიკეთის ცხოვრებისეული მნიშვნელობა; სამართალდარღვევის შედეგთა სიმძიმე; ყალბი და სახელის გამტეხი ცნობების ხასიათი და მისი გავრცელების სფერო; დაზარალებულის ცხოვრების პირობები; ზიანის მიმცენებლის ბრალის ხარისხი, მისი ქონებრივი მდგომარეობა და სხვა პატივსადები გარემოებანი, როგორიცაა დაზარალებულის მკურნალობის ხანგრძლივობა, სპეციფიკურ თვისებათა შენარჩუნების შესაძლებლობა და ა. შ.

სხეულის დაზიანებასა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებას უმეტესად ქონებრივი ზიანი მოსდევს ხოლმე. მაგრამ, თუკი არაქონებრივი ზიანიც იქნება, მაშინ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. სხეულის დაზიანებამ ან ჯანმრთელობის მოშლამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მორალური ზიანი. ყველა შემთხვევაში, როცა მისი ანაზღაურების საკითხი დგება, ზიანი უნდა იყოს იყოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ამდენად ანგარიშგასაწევი. უცხოური სასამართლო პრაქტიკა სავსეა ასეთი ზიანის ანაზღაურების პრაქტიკით. სანიმუშოდ მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ერთ-ერთმა მოქალაქემ მეორეს ხუმრობით

აცნობა, რომ მის ქმარს შეემთხვა უბედურება, მოიტეხა ფეხი და წევს საავადმყოფოში. ასეთი ყალბი ინფორმაციით მოსარჩელემ განიცადა ძლიერი ფსიქიკური ტრავმა და აუფლება მოიპოვა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

11) შენობის ჩამოქცევით ან ჩამონგრევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

დელიქტური პასუხისმგებლობისათვის, ზოგადად აუცილებელია რომ კუმულაციურად სახეზე იყოს ოთხი წინაპირობა, რომლებიც პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენენ. ესენია: ქმედების მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის და ბრალი. მაგრამ სხვაგვარად წყდება საკითხი მომეტებული საფრთხის შემთხვევაში. კანონმდებელი იყენებს ტერმინს „მომეტებული საფრთხე“, რაც იმას გულისხმობს, რომ საფრთხე ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას, იმის გამო რომ შეუძლებელია ადამიანის შესაძლებლობებიდან გამომდინარე მასზე სრული კონტროლის განხორციელება. სკ-ის მე-1000 მუხლის 1-ელი ნაწილის მეორე წინადადება ადგენს, რომ იგივე წესი გამოიყენება ხანძარსაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერებების მფლობელის მიმართ, როცა მათგან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს. მაგრამ სკ-ის მე-1000 მუხლის პირველი ნაწილში პირველ წინადადებაში, დამატებით ნახსენებია აფეთქებასაშიში ნივთიერებების ცნება. ამავდროულად, პირველი წინადადება იმით განსხვავდება მეორისაგან, რომ იქ საუბარია ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებულ საფრთხეზე, ხოლო მეორე წინადადება ზოგად პასუხისმგებლობას ადგენს ხანძარსაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერებების მფლობელის მიმართ. რატომ არ გაითვალისწინა კანონმდებელმა მეორე წინადადებაში აფეთქებასაშიში ნივთიერებები გაუგებარია. ზოგადად კი სკ-ის მე-1000 მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველები როგორც ნაგებობიდან, ისე ნივთიერებებიდან გამომდინარე საფრთხეების მიმართ ერთნაირია. კერძოდ სახეზე უნდა იყოს სამი კუმულაციური პირობა: ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი (როგორც შედეგი), მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის. სკ-ის მე-1000 მუხლის მე-3 ნაწილში საუბარია იმ გარემოებაზე რომლის არსებობის შემთხვევაშიც გამოირიცხება პასუხისმგებლობა ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით მიყენებული ზიანისათვის. კერძოდ, მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. დაუძლეველი ძალის ცნებას სკ არაერთხელ იყენებს და იგი შეფასებას საჭიროებს. იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია რომ დაუძლეველი ძალა იგივე ფორს- მაჟორული სიტუაციაა. იგი ხასიათდება როგორც ობიექტური ისე სუბიექტური კრიტერიუმით. ობიექტური კრიტერიუმით დაუძლეველ ძალად ითვლება სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი) და სოციალური მოვლენები (ომი, რევოლუცია, აჯანყება, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების აქტები რომლებიც გასხვავებული რეგულაციის გამო შეუძლებელს

ხდიან კონკრეტული სამართლებრივი მოქმედების განხორციელება). სუბიექტური კრიტერიუმი კი ამოდის იქიდან, თუ რამდენად შეეძლო პირს მაქსიმალური ძალისხმევის შემთხვევაში ზიანის თავიდან აცილება. გარდა ამისა დაუძლეველ ძალას ახასიათებს ის თვისებაც რომ იგი წინასწარ გაუთვლადია, თუკი პირს შეეძლო მისი წინასწარ ნგათვალისწინება, მაშინ შეიძლება მოვლენა დაუძლეველ ძალად აღარც მივიჩნიოთ. აგრეთვე საჭიროა, რომ ძალა გადაულახავი იყოს, არა მხოლოდ ზოგადად, არამედ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით კონკრეტული პირისათვის. აქვე სკ-ის მე-1000 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოთვლის იმ დაუძლეველ ძალებს, რომელთა არსებობის დროსაც არ გამოირიცხება პასუხისმგებლობა: ელექტროგადამცემი ხაზების ავარია, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებება.

12) ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

დელიქტური პასუხისმგებლობისათვის, ზოგადად აუცილებელია რომ კუმულაციურად სახეზე იყოს ოთხი წინაპირობა, რომლებიც პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენენ. ესენია: ქმედების მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის და ბრალი. მაგრამ სხვაგვარად წყდება საკითხი მომეტებული საფრთხის შემთხვევაში. კანონმდებელი იყენებს ტერმინს „მომეტებული საფრთხე“, რაც იმას გულისხმობს, რომ საფრთხე ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას, იმის გამო რომ შეუძლებელია ადამიანის შესაძლებლობებიდან გამომდინარე მასზე სრული კონტროლის განხორციელება.

სკ-ის მე-1000 მუხლის 1-ელი ნაწილის მეორე წინადადება ადგენს, რომ იგივე წესი გამოიყენება ხანძარსაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერებების მფლობელის მიმართ, როცა მათგან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს. მაგრამ სკ-ის მე-1000 მუხლის პირველი ნაწილში პირველ წინადადებაში, დამატებით ნახსენებია აფეთქებასაშიში ნივთიერებების ცნება. ამავდროულად, პირველი წინადადება იმით განსხვავდება მეორისაგან, რომ იქ საუბარია ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებულ საფრთხეზე, ხოლო მეორე წინადადება ზოგად პასუხისმგებლობას ადგენს ხანძარსაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერებების მფლობელის მიმართ. რატომ არ გაითვალისწინა კანონმდებელმა მეორე წინადადებაში აფეთქებასაშიში ნივთიერებები გაუგებარია. ზოგადად კი სკ-ის მე-1000 მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლები როგორც ნაგებობიდან, ისე ნივთიერებებიდან გამომდინარე საფრთხეების მიმართ ერთნაირია. კერძოდ სახეზე უნდა იყოს სამი კუმულაციური პირობა: ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი (როგორც შედეგი), მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის. სკ-ის მე-1000 მუხლის მე-3 ნაწილში საუბარია იმ გარემოებაზე რომლის არსებობის

შემთხვევაშიც გამოირიცხება პასუხისმგებლობა ნაგებობიდან ან ნივთიერებიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით მიყენებული ზიანისათვის. კერძოდ, მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამოირიცხებულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. დაუძლეველი ძალის ცნებას სკ არაერთხელ იყენებს და იგი შეფასებას საჭიროებს. იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია რომ დაუძლეველი ძალა იგივე ფორს- მაჟორული სიტუაციაა. იგი ხასიათდება როგორც ობიექტური ისე სუბიექტური კრიტერიუმით. ობიექტური კრიტერიუმით დაუძლეველ ძალად ითვლება სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი) და სოციალური მოვლენები (ომი, რევოლუცია, აჯანყება, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების აქტები რომლებიც გასხვავებული რეგულაციის გამო შეუძლებელს ხდიან კონკრეტული სამართლებრივი მოქმედების განხორციელებას). სუბიექტური კრიტერიუმი კი ამოდის იქიდან, თუ რამდენად შეეძლო პირს მაქსიმალური ძალისხმევის შემთხვევაში ზიანის თავიდან აცილება. გარდა ამისა დაუძლეველ ძალას ახასიათებს ის თვისებაც რომ იგი წინასწარ გაუთვლადია, თუკი პირს შეეძლო მისი წინასწარ ნგათვალისწინება, მაშინ შეიძლება მოვლენა დაუძლეველ ძალად აღარც მივიჩნიოთ. აგრეთვე საჭიროა, რომ ძალა გადაულახავი იყოს, არა მხოლოდ ზოგადად, არამედ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით კონკრეტული პირისათვის. აქვე სკ-ის მე-1000 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოთვლის იმ დაუძლეველ ძალებს, რომელთა არსებობის დროსაც არ გამოირიცხება პასუხისმგებლობა: ელექტროგადამცემი ხაზების ავარია, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებება.

13) სახელმწიფო, გამომიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლო თანამდებობის პირთა დელიქტური პასუხისმგებლობის თავისებურებები.

ზიანის მიყენებისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის. „სახელმწიფო ორგანოს“ ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ის ორგანოები რომლებიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის/მმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

სახელმწიფო მოსამსახურედ ითვლება პირი, რომელიც მუდმივი, დროებითი ან სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს ხელისუფლების წამორმადგენლის ფუნქციებს. აღსანიშნავია, რომ „სხვა პირებში“, რომელთა მიმართ განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა, იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს

თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია ანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზიანი უნდა გამოიწვიოს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევამ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველს სწორედ ასეთი დაღვევა წარმოადგენს. პირი, რომლის მიმართ სახელმწიფო მოსამსახურე არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, უნდა შეეცადოს ზიანის თავიდან აცილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა.

ზიანის პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. არსებობს აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობის ოთხი საფუძველი: 1. უკანონო მსჯავრებდა; 2. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უკანონოდ გადაცემა; 3. აღმკვეთი ღონისძიებები სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენება; 4. პატიმრობის სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრება.

პირს, რომელსაც ჩამოთვლილიდან რომელიმე საფუძველით მიეყენა ზიანი, შეუძია მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს კიდევ სახელმწიფოს მხრიდან. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს პირის მარეაბილიტირებელი გარემოებები. ამიტომაც, რომ კანონი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევს მხოლოდ რეაბილიტირებულ პირს.

ადამიანის თავისუფლების აღკვეთის, უკანონოდ დაკავების ან დაპატიმრებისას პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის მიყენებისთვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, რეაბილიტაციის დროს სისხლის სამართლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ყველა გადასახადი გადაიხდევენ, ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. გადასახდელი არ ინიშნება, თუ უდანაშაულო პირისთვის მსჯავრის დადგება და მის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება გამოწვეული იყო წინასწარგანზრახული ცრუ აღიარებით, რომელიც მიღებულია რაიმე იძულების გარეშე. როგორც ჩანს, სისხლის სამართალში მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი წყდება იმავე პრინციპზე დაყდნობით, როგორც სამოქალაქო სამართალში. სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას ბრალის მიუხედავად.

უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი და

მორალური ზიანის ანაზღაურება უზრუნველყოფიალია. კერძოდ, უნდა ანაზღაურდეს ხელფასი, ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, მათ შორის, ანაცდენი სარგებელი (პენსია, დახმარება), თუ მათი გადახდა შეჩერებული იყო; ფული, ფულადი ანაზღაურება და მათი პროცენტები, ობლიგაციები და მათი წილხვედრი მოგება, სხვა ფასიანი ქაღალდები და მათზე მიღებული შემოსავალი; სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე გადახდევინებული ჯარიმები და სასამართლო ხარჯები.

14) დაზარალებულის გარდაცვალებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებმაც დაზარალებულის გარდაცვალებით დაკარგეს მაჩენალი. ზიანის მომყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენა დაზარალებულს ევალებოდა. აღნიშნულ პირთა ჩამონათვალი მოცემულია სამოქალაქო კოდექსში და ასეთებად მიიჩნევიან: დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე სრულწლოვანი, მაგრამ შრომისუნარო პირები, რომლებიც გარდაცვალების მიმოწისთვის იმყოფებოდნენ გარდაცვლილი პირის კმაყოფაზე ანდა ჰქონდათ მისგან სარჩოს მიღების უფლება; ბავშვი, რომელიც დაიბადა დაზარალებულის გარდაცვალების შემდგომ; ერთ-ერთ მშობელი, მეუღლე ან ოჯახის სხვა წევრი, რომელიც არ მუშაობს და დაკავებულია საოჯახო მეურნეობით, გარდაცვლილის შვილიშვილები, და-ძმები, რომლებსაც არ მიუღწევიათ სრულწლოვანების ასაკს, ანდა მიაღწიეს აღნიშნულ ასაკს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მოვლას.

პირები, რომლებიც გარდაცვლილის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ, მაგრამ გადაცვალების მომენტში შრომისუნარიანები იყვნენ, იძენენ ანაზღაურების უფლებას, თუ დაზარალებული გარდაცვალებიდან 5 წლის განმავლობაში გახდნენ შრომისუნარონი.

შრომისუნაროდ მიიჩნევა I, II და III ჯგუფის ინვალიდი და აგრეთვე საპენსიო ასაკს მიღწეული პირი.

ზიანის ოდენობა განისაზღვრება გარდაცვლილის ხელფასის (შემოსავლის) იმ წილის ოდენობით, რომელსაც პირი იღებდა ან უფლება ჰქონოდა მიეღო სარჩოს სახით მარჩენალის სიცოცხლეში.

ზიანის მომყენებელმა სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. მაგალითად: არასრულწლოვნისთვის - მის მიერ 18 წლის ასაკს მიღწევამდე; პენსიონერებს - მუდმივად, სიცოცხლის ბოლომდე; ინვალიდებს - ინვალიდობის ვადამდე; პირებს,

რომლებსაც უვლიან გარდაცვლილის ბავშვებს, შვილიშვილებს ან და-ძმებს - მოვლა-პატრონობის დამთავრებამდე და ა. შ.

თუ ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი რომელიმე პირი არ იმყოფებოდა დაზარალებულის კმაყოფაზე, მაგრამ სისტემატურად იღებდა მკაცრად განსაზღვრულ ფულად თანხას ან უფლება ჰქონდა მიეღო ასეთი თანხა, ასეთ პირს დაზარალებულის გარდაცვალების შემდგომაც მიეცემა ასეთი თანხა, ხოლო, თუ თანხა არ იყო ზუსტად განსაზღვრული, იგი დადგინდება გარდაცვლილისა და იმ პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ვისაც უფლება აქვს მოითხოვოს.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოებს, როგორც წესი, ყოველთვიურად. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, პატივსადები მიზეზების არსებობისას, ზიანის მიმყენებლის შესაძლებლობების და მდგომარეობის გათვალისწინებით, დაზარალებულის თხოვნით, სასამართლო უფლებამოსილია დააკისროს ზიანის მიმყენებელს ერთჯერადი ანაზღაურება, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის შემდეგ, ანუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ქონებრივი ზიანის კომპენსაციასთან ერთად, დაზარალებული უფლებამოსილია მოითხოვოს აგრეთვე მორალური ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული ქონებრივი ზიანის მიყენებაზე. მაგალითად, მორალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშვა უახლოესი ადამიანის გარდაცვალების საფუძველზე (მეუღლე, მშობელი ან შვილი). ანაზღაურებას ექვემდებარება აგრეთვე იმ პირთა მორალური ზიანი, რომლებსაც გააჩნიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მარჩენალის დაკარგვის გამო.